№ 218

სამშაბათი, 21 ოქტომბერი, 1897 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1897

# ივერია

№ 218

სამშაბათი, 21 ოქტომბერი, 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

დღესასწაულისა გამო, შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 24 ოქტომბერს.

---

**კნეინა ტერეზია გიორგის ასული შერვაშიძისა და მიხეილ** ელისბარის ძე შერვაშიძე დებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ

**თავადის ნიკოლოოზ ელიზბარის ძის შარვაშიძის**

სულის მოსახსენებლად გადახდილი იქმნება წლის წირვა ამა თვის 23-ს სოფელს სასირეთში.

(1—187—1)

---

**აზ. ზეხათუნ ბექანის ასული ტატიშვილისა, აზ. მაკრინე, კონსტანტინე და იოსებ დიმიტრის ძენი და ასული ტატიშვილები და კნეინა ნინო დიმიტრის ასული ფავლენიშვილისა** აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველი შვილისას, ხოლო მეორენი ძმისას

**პავლე დიმიტრის ძის ტატიშვილისას,**

სთხოვენ მობრძანდნენ 21 ოქტომბერს, დილის 10 საათზედ, სოფ. ძველეთში, ღვთისმშობლის ეკკლესიაში, სადაც გარდახდილ იქნება წირვა და ანდერძი მიცვალებულისა. (1—ნ.—1).

---

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 22 ოქტომბერს,

ქართულის დრამატიულის დასისაგან

წარმოდგენილი იქნება

პირველად ახალი პიესა

I

**ცხოვრება ბრძოლაა**

დრ. 4 მოქ. თხზ. იერ. გულისაშვილისა

II

**მოჭრია**

ვოდევილი ერთ მოქმედ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ჩერქეზიშვილისა, გამყრელიძისა, კარგარელისა, რჩეულოვისა, რიონელი და სხვ. ბ-ნნი აბაშიძე, მესხი, გედევანოვი, გამყრელიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, მჭედლიშვილი, ადამიძე, კორინთელი, კარბელი, საფაროვი, გვარამაძე, აბრამოვი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ

რეჟისორი კ. მესხი

ადმინისტრატორი კ. შათირიშვილი

---

## მთავრობის განკარგულებანი

გადაყვანილ იქმნენ ბათუმის სასოფლო ექიმი მისეილ ლორთქიფანიძე—შორაპნის მაზრის სასოფლო ექიმად. ოლთის საოლქო ექიმი ექვთიმე ვაშაკიძე—ბათუმის სასოფლო ექიმად.

დათხოვნილ იქმნა თავისისავე თხოვნით რაჭის სამაზრო ექიმი, ნადვორნი სოვეტნიკი ივანე (პლატონი) გოკიელიშვილი.

## ახალი ამბავი

—

∴ მოგვყავს ზოგიერთი ცნობები ხელოსანთა მოურავის კ. ა. სეროზიანცის ერთის წლის ანგარიშიდგან. კ. ა. სერობიანცს სამსახური დაუწყია 1896 წლის 20 აგვისტოს. ამ დროს სახელოსნო გამგეობას ჰქონია თანხა, 30 წლის განმავლობაში შეკრებილი, 1624 მან. 24 კაპ., რომელიც სახელმწიფო ბანკში ინახება. 20 აგვისტოდგან 1896 წლისა 1897 წლის 20 აგვისტომდე ხარჯს გარდა, სახელოსნო გამგეობას შემოსავალი ჰქონია 2,000 მან. ამ ჟამად ხელოსანთა წოდებას სულ 3,624 მან. აქვს. ის გარემოება, რომ ამ ერთს წელიწადში უფრო ბევრი ფული მოკრეფილა, ვიდრე წინად 30 წლის განმავლობაში, აშკარადა ჰმოწმობს, როგორ უწალმართებიათ ხელოსანთა საქმე და როგორი პატრონობა გაუწევიათ ხელოსანთა წოდების ფულისათვის წინანდელს მოურავებს.

∴ გუშინ, 20 ოქტომბერს, სამხედრო საკრებულოს სადგომში შეამოწმეს ის ყმაწვილნი კაცნი, რომელნიც ამ წელს ილებენ კენჭს ჯარში გასასვლელად. წრეულს სამხედრო სამსახურისათვის გამოუსადეგარი იმდენი აღმოჩნდა, რომ იმათ შორის, რომელთაც პირველი 350 №-რი ამოუვიდათ, ძლივს ამოარჩიეს 33 რუსი და 20 ადგილობრივი მკვიდრი. კიდევ ამოსარჩევია 46 კაცი, რომელნიც უნდა შევსებულ იქმნენ 24 ოქტომბერს. შესამოწმებელთაგან. როგორც ამბობენ, შეიძლება ჯარში ისინიც იყვნენ გაყვანილნი, რომელთაც მე-500 ნომერზედ მეტი ამოუვიდათო.

∴ 23 ოქტომბერს 7½ საათზედ, დანიშნულია კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების კრება, რომელზედაც განხილული იქმნება სხვათა შორის, ს. ე. მერქეევსკის მოხსენება, ამიერ კავკასიაში შინა მრეწველობის გაძლიერების საშვალებათა შესახებ.

∴ 18 ოქტომბერს საყასბოზედ არუთინოვის სამ დაკლულ ღორის ხორცში ტრიხინა აღმოაჩინეს: გაზ. „კავკასი“ სწერს ამის შესახებ, რომ იმედია, ეხლა მაინც ნამდვილად დასწვავენ ამ ტრიხინიანს ხორცსაო.

∴ სინოდის ქართლ კახეთ-იმერეთის სინოდალურ კანტორის იმერეთის განყოფილების მდივნად, გარდაცვალებულის ილია კიკნაველიძის მაგივრად, დაუნიშნავთ ბ-ნი სოფრონ მგალობლიშვილი, რომელიც ამ ბოლოს დროს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის კანცელარიის მდივნად იყო.

∴ იმ კომისიის უკანასკნელ კრებაზედ, რომელმაც ხორცისა და პუ-

---

## ფელეტონი

—

**ნაწყვეტი**

—

გასწი წინ, გასწი, ძმობილო,
არ გაიტეხო გულიო,
გადაწვი გზები ეშმაკთა,
ნარ-ეკლიანი, კრულიო;
უფლისგან გმირად შობილსა
ვერ გავნებს სიტყვა მტრულიო,
ბოროტს, მავნეს და მაცდურსა
შენ ამოჰხადე სულიო!..

დ. მაჩხანელი

---

### სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენა კიევში

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

(შემდეგი *)

ეხლა ბეითლობის ისტორიას შევეხოთ მოკლედ.

უუძველესის ცივილიზაციის ნაშთნი ნათლად ამტკიცებენ ბეითლობის შორე წარსულიდგან მომდინარეობას. ჩვენ ვიცით, რომ ეგვიპტესა და ინდოეთში პირუტყვებს აღმერთებდნენ და სწამდათ სულის გადასვლა; ასეთმა რწმუნებამ ამ ორს ქვეყანაში ბეითლობას პირველი ადგილი დაუთმო—პირუტყვებს ჰმკურნალობდნენ ადგილობრივნი ქურუმნი, ჩინეთშიაც და სპარსეთში ბეითლები ეკუთვნოდნენ წარჩინებულ კაცთ, წარმოადგენდნენ პატივცემულ მკურნალთა დასს, როდესაც საზოგადოდ სამკურნალო მეცნიერებამ დაიწყო განვითარება და სხვა-და-სხვა წამლობის საცდელად მეცნიერნი მკურნალნი მიჰმართავდნენ ხოლმე (როგორც დღეს) პირუტყვ-ცხოველებს. სხვათა შორის ასეთმა მიზეზებმა ხელი შეუწყო ბეითლობის განვითარებას, რადგან ცდისთვის წინ და წინ დანამდვილებით და სისწორით ობიექტის ანუ ცხოველის შესწავლა იყო საჭირო. ბეითლობის განვითარებას ძალა მისცა აგრეთვე იმ შემთხვევამ, რომ ამ ბოლო დროს ცხოველებზედ ბევრს რასმესა სცდიდნენ, სცდიან და ამაზე დამყარებით აწვდიან კაცობრიობას სხვა-და-სხვა საკეთილდღეო საშუალებას მკურნალები, ბოტანიკოსები (ცენკოვსკი), ქიმიკოსები (პასტერი), ზოოლოგები (მეჩნიკოვი) და სხვ. უფრო ძლიერ ბეითლობა საფრანგეთში განვითარდა.

რუსეთში ბეითლობის განვითარებამ ფეხი გადადგა 1870 წ., როდესაც ჭირის წინააღმდეგ აუცილებელი მედგარი ბრძოლა იყო საჭირო. ბეითლობის განვითარება რამდენს სარგებლობას აძლევს სოფლის მეოჯახობას და როგორ უმაგრებს წელს მეოჯახეს, ყველა კარგად ხედავს: რამდენ ზარდამცემ და მმუსრავ ჭირსენს უკვეცავს ფრთებს, უხურავს კარებს. ამის დასასაბუთებლად პასტერის ინსტიტუტის უკვე დასახელებული სითხეც კმარა. გარდა ამისა, ძნელად სათქმელია, თუ ხორცისა და საზოგადოდ სანოვაგის გასინჯვა-განხილვით რამდენ სნეულებას, საწამლავს აშორებს კაცობრიობას ბეითალობა! ბეითლობის მეცნიერება წარმოადგენს სხვა-და-სხვა ცხოველ-პირუტყვების ანატომიას, ფიზიოლოგიასთან ათასგვარ ჭირის შესწავლას და მერე შემსუბუქებას. ამ უკანასკნელს ხანში დიდი ყურადღება მიაქცია რუსეთის მთავრობამ საზოგადოდ ბეითლობას: გაამრავლა ბეითალთა რიცხვი, აღევნებს თვალს დიდის ყურადღებით საბეითალო ინსტიტუტებს და სხვ. ჩვენში ხუთი ახალი ბეითალი დანიშნეს სხვა-და სხვა ადგილას.

კიევის ბეითალს ბ-ნს ლესარევსკის წარმოდგენილი აქვს სურათები ციმბირის ჭირის (ჯილეხის), ტუბერკულოზის (ჭლექის), ქოთაოსი (ცხენის სენის), აქვეა სენთა კულტურა, შუშაში არის სხვა-და-სხვა მიკროორგანიზმები. სურათები — bacillus tuberculosis—ჭლექის ჩხირები, bacillus anthracis—ციმბირის ჭირისა, bacterium mollei—ქოთაოსი, bacterium coli commune და სხვ. რძის მიკროორგანიზმები და სხვ. წარმოდგენილი აქვს შემდეგი პირუტყვთ ასაცრელი სითხე: ტუბერკულინი, მალლეინი, პირველი ვაქსინა ციმბირის ჭირისა (ცხენებისათვის) და სხვ. მალლეინის საშუალებით არკვევენ ქოთაოს (ცხენის სენს), კოხის ტუბერკულინით — ძროხის ჭლექს. ყველა მიკროორგანიზმის გამანადგურებელ ძალის ნაყოფი ვნახე აქვე, მაგრამ ისეთი საშინელი მოქმედება ჩემზედ არაფერს არა ჰქონია, როგორც ადამიანის სახეზედ გამოჩენილს ქოთაოს. რა გულ შემზარავი რამ არის! ცხვირი სულ მოვარდნილი აქვს, თვალები დავსებული და საერთოდ სახე დაჭმული. სლესარევსკის აქვე ულაგნია კოლლექცია პირუტყვების საკვებ მცენარეებისა. ბ-ნი კიეველი ბეითალი სთხოვს ყველა მემამულეს გამოუგზავნოს ნიმუშები სათიბ-საბალახოში ამოსულ მცენარეების გასასინჯავად, რის შემდეგ პატრონს შეატყობინებს პირუტყვთა საკვებების ღირსების შესახებ თავისს აზრს. ეს მით უფრო ყურადღების ღირსია, რომ ბევრი მცენარე, რომელთაც საბალახოს არა მცირე ადგილი აქვს დაჭერილი, შხამიანია ხშირად; მოსწამლავს მაგალითად ძროხის აგებულობას და ამას ხომ რძის უვარგისობა-მავნებლობა მოსდევს და სხვ. ბ-ნ სლესარევსკის წყალობით ბევრს მემამულეს შეუძლიან ასეთი არა-სასურველი მდგომარეობა აიცილოს თავიდგან. სასურველია, რომ ჩვენნი ბეითლები მიჰბაძავდნენ კიეველ ბეითალს, რითაც დიდ დახმარებას აღმოუჩენენ ჩვენს ისედაც დაჩიავებულს სოფლელებს.

პროფესორს აკიმოვიჩს პატარა შკაფში ულაგია სხვა-და სხვა ცხოველების ტვინი შედარებითის ანატომიურ კოლლექციიდგან.

სამეცნიერო განყოფილებაში პროვიზორ კუნიცკის თავისი საკუთარი შკაფი აქვს, რომელშიაც უწყვია, სხვათა შორის, საკუთარის გამოგონილის ნივთების ნიმუშები. რადგან კუნიცკი მეაფთიაქეა და ჩვენც აფთიაქის ნივთებსაც შევეხებით, ჯერ საზოგადოდ აფთიაქების გამო მოვილაპარაკოთ. პირველი აფთიაქი რუსეთში დაუარსებია ინგლისელ ჯემს ტრენჩემს იოანნე მრისხანეს დროს. მერე საიფთიაქო იქმნა დაარსებული მეფე მიხეილ თეოდორეს ძის მეფობის დროს; მეფე ალექსი მიხეილის ძემ მოსკოვსა და ვოლოგდაში დააარსა ორი აფთიაქი. 1702 წ. პეტრე დიდის დროს მოსკოვში დაარსდა კიდევ რვა აფთიაქი; ამას მოჰყვა პეტერბურგის აფთიაქებისა და სხვათა დაარსება. წარსულ საუკუნის ბოლოს მთელს რუსეთში სულ ითვლებოდა ასი აფთიაქი, ამ დროს ყველა გუბერნიებში სავალდებულო იყო აფთიაქი. გადის ცოტა ხანი და ალექსანდრე I-ის მეფობის დროს, როცა საექიმო აკადემიაში საფარმაციო განყოფილება მოემატა, ნამეტანის სისწრაფით წავიდა აფთიაქების განვითარების საქმე, ნიკოლოოზ პავლეს ძემ შემდეგ სავალდებულოდ გახადა, რომ აფთიაქის მართვა-გამგეობა ჩაჰბარებოდა მხოლოდ უნივერსიტეტში სწავლა მიღებულთ. ეხლა, როცა მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელ დღეებს ვთვლით და ვესალმებით, თითქმის ყველა, არა თუ ქალაქში, დაბაშიაც-კი გამართულია აფთიაქები.

ეხლა ისევ კუნიცკის დავუბრუნდეთ და დავასახელოთ ის ნიმუშები, რომელიც მართლა ყურადღების ღირსია. კუნიცკის მშვენიერ შკაფის

---

*) იხ. „ივერია“ № 215.

რის ნიხრი უნდა დააწესოს, უმრავლესობამ ის აზრი წარმოსთქვა, რომ ხორცი სამ ნაწილად უნდა იქმნას გაყოფილი და თითო ნაწილს სხვა-და-სხვა ფასი დაედოსო. ხოლო იმის გამოსარკვევად, თუ თითოს რა ფასი უნდა დაედოს, გადასწყვიტეს გამოსაცდელად ათჯერ დაჰკლან საქონელი. ამავე კრებაზედ ბევრმა წარმოსთქვა, საჭიროა რომ საყასბოზედ ყველა დაკლულ საქონლის ხორც ნიშანი დაესვას ხოლმეო. ამას გარდა, ის აზრის წარმოითქვა, რომ დაარსებულ იქმნას ქალაქის საყასბოებიო. ამ უკანასკნელი საგნის განხილვა და იმის შესახებ მოხსენების შედგენა კრებამ მიანდო გამგეობის წევრს თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვს.

⁂ პეტერბურგიდგან დეპეშით აუწყებენ გაზ. „Русск. Вѣд." 4 ოქტომბერს: „დღეს სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტში განიხილეს ტფილისის სამოსამართლო პალატის ბრალმდებლის ამხანაგის პროტესტი და საჩივარი გაზ. „კავკასი"-ს რედაქტორად ნამყოფის ბ-ნის მილიუტინისა, რომელნიც არ დაეთანხმნენ ტფილისის სამოსამართლო პალატის გარდაწყვეტილებას და საქმე სენატში გადაიტანეს. სამოსამართლო პალატამ ბ-ნს მილიუტინს იმის გამო, რომ მან, კავკასიის საცენზურო კომიტეტის დადგენილების მიუხედავად, არ დაჰბეჭდა წერილი იმიერ-კასპიის საქციზო გარდასახადთა მმართველისა, რომელიც დაწერილი იყო გაზ. ,,კავკასში'' ჟურნალ ,,Хозяйнъ''-იდგან გადმობეჭდილის წერილის პასუხად, გადაუწყვიტა 251 მან. ჯარიმის გარდახდევინება. სენატმა დაადგინა: ტფილისის სამოსამართლო პალატის განაჩენი, სასჯელთა დებულების პირველ მუხლისა და სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების წესდების პირველ მუხლის ძალით, გაუქმებულ იქმნას".

⁂ 18 ოქტომბერს ამიერ-კავკასიის რკინის გზის უმფროსი ინჟინერი ვედენეევი რკინის გზის საქმეებისა გამო პეტერბურგში წავიდა. პეტერბურგშივე წავიდა მოძრაობის უფროსი ინჟინერი შაიკევიჩი. რკინის გზის უფროსის თანამდებობას დროებით ასრულებს ინჟინერი აკორონკო, მხოლოდ მოძრაობისას—ინჟენერი ჟუკოვსკი.

⁂ 18 ოქტომბერს, ქალაქის გამგეობამ, ქალაქის დებულების მე-76 მუხლის თანახმად, წარუდგინა ტფილისის გუბერნატორს ქალაქის საბჭოს 6 ოქტომბრის კრების ჟურნალი, რომელსაც დატანებული აქვს კერძო აზრი ქალაქის მოურავის არჩევანების უკანონობის შესახებ ხმოსანთა: ა. ს. ბაბოვისა, რომლის აზრსაც მიემხრნენ — ა. ა. ქალანთარი, მ. ნ. ვესელოვზოროვი, ბ. პ. ვესელოვზოროვი, ი. ა. მელიქ-ბეგლიაროვი და ა. ს. ბალდასაროვი და ხმ. მირზოევისა, რომლის აზრსაც მიემხრო ხმ. ლ. ფ. ტიგრანოვი.

⁂ „გორის მემამულეთა ამხანაგობის" გამგეობას სად. გომში ამ „ამხანაგობის» სავაჭრო დეპო-საწყობის მმართველად დაუნიშნავს თავ. ვასილ ედიშერის ძე ბაგრატიონ-დავითაშვილი.

⁂ გაზ. „ტფ. ფურც." სწერენ გორიდგან: „მთელი გორის მაზრა მოდებულია ციებ-ცხელებით, სოფლებში: ოდისწყაროსა, იგოეთსა, რგვალი ჭალასა, ოქამსა, ლამისყანასა, პანტიანსა, ხურვალეთსა, ახალშენსა, ნადარბაზევსა, ნოგასა, ტეზერსა, კასპსა, სამთავისსა, ქვემო-ჭალასა, მეჯვრისხევსა, აბრევსა, ქარელსა, ტატალაანთ-უბანსა, ქვემო-ხვედურეთსა, დოესსა, სკრასა, კავთისხევსა და სხვა სოფლებში აუარებელი ავადმყოფია. ყველა ეს სოფლები ქვემო-ჭალის გარეშემოა, სადაც 24 ივლისს ადგილობრივმა მემამულემ კავალერიის გენერალმა თავ. ი. გ. ამილახვარმა ფერშალი გ. ბაქრაძე გაგზავნა, 24 ივლისიდგან დღემდე ბაქრაძემ 1,300 ავადმყოფს აღმოუჩინა დახმარება. სოფელ კავთისხევში რამდენიმე კაცი გარდაიცვალა. ამ ცოტა ხნის წინად იქ სამაზრო ექიმი ბ-ნი ცისკარაშვილი იყო და აუარებელი ავადმყოფი გასინჯა. ცისკარაშვილი დაჰპირდა მცხოვრებლებს, შუამდგომლობას დავიწყებ, რომ ფერშალი გამოგზავნონ აქაო. დაბა ცხინვალში საავადმყოფომ 7,000 კაცს გაუწია დახმარება. მცხოვრებლები დიდის სიამოვნებით ეტანებიან ექიმებს და სულ შორის სოფლებიდგან მოდიან საავადმყოფოში''.

⁂ გაზ. „კავკას"-ს ატყობინებენ ბაქოდგან, რომ 14 ოქტომბერს მოხდა არჩევანი ქალაქის ხმოსანთა 1897—1901 წლისათვისაო, 80 ხმოსნის მაგიერ ამორჩეულ იქმნა ჯერ-ჯერობით 36, მომეტებულ ნაწილად მუსულმანები და რუსები. დამატებითი არჩევანი მოხდება ერთის კვირის შემდეგ.

⁂ როგორც ,,კავკასი'' იუწყება, ამ ჟამად ტფილისში 40 ოჯახია რუსეთის შიდა გუბერნიებიდგან გადმოსახლებული. გაზეთის სიტყვით, ბევრს მათგანს ლუკმა პურიც-კი არ გააჩნია.

⁂ ხაშური. 17 ოქტომბერს, როდესაც ქვის მტვრევი მუშები სამუშაოდგან დაბრუნდნენ, უცაბედად ცეცხლი წაეკიდა შვიდ გირვანქა თოფის წამალს, რომელიც თან მოჰქონდათ. აფეთქების გამო დაშავდნენ მუშები ბუჯანაძე და კუკლოვი, რომლებიც ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

⁂ სოფ. ხოვლე (გორის მაზრა). წელს ჩვენკენ პურის მოსავალი ნაკლებად იყო. ფასმა ეხლავე აიწია; კოდი პური უკვე სამ-მანეთ ნახევარია და მალე ოთხამდისაც ავა. ღვინის მოსავალი უკეთესი იყო. ამ თვის თხუთმეტამდე რთველები ყველგან გაათავეს.

⁂ თელავი. 16 ოქტომბერს აქ მოვიდა საეპარქიო ზედამხედველი ბ-ნ ტატიშვილი სამრევლო სკოლების დასათვალიერებლად. იმედია, ბ-ნი ზედამხედველი მიაქცევს თავისს ყურადღებას და ზედმიწევნით შეიგნებს სკოლების ავ-კარგიანობას, რომ შეფერებულის წამლით ნაწამლებმა და ჯეროვანის ხელმძღვანელობით მასწავლებლებმა ცოტად მაინც მიაღწიონ იმ საგანს, რომელიც ქვაკუთხედად დასდებია ამ საქმეს.

⁂ სვანეთი. აგრონომმა ა. ს. ფირალოვმა დაიარა მთელი სვანეთი, შეჰკრიბა საჭირო ცნობები და საუკეთესო ადგილად სამაგალითო ფერმის დაარსებისათვის უშკულის საზოგადოება იცნო, რომელიც განთქმულია მშვენიერის საძოვარ ადგილებით. მცხოვრებლებმა დაუთმეს ფერმისთვის საჭირო ადგილი და დანარჩენ ხარჯს-კი თითონ ხაზინა ჰკისრულობს.

ამ ორის კვირის წინად სვანეთს ეწვივნენ მოგზაურნი: კამერჰერი პოგენპოლი, პროფესორი კ. ვერნი, ექიმი რეგო და ლიონელი ადვოკატი ფ. რეგო (სამნივ ფრანგები არიან) და მოინდომეს იალბუზის მწვერვალზე ასვლა. თუმცა მცხოვრებლებმა ბევრი უშალეს, რომ ცუდი დარია და ძნელია ამ დროს მოგზაურობაო, მაგრამ უცხო ქვეყნელთ მაინც არ დაიშალეს. მოგზაურთ თან გაჰყვა ლეჩხუმის მაზრის სამმართველოს მოხელე პ. ჯანელიძე და მიაცილა სოფ. ბეჩომდე, სადაც უნდა გამოსთხოვებოდა და დაბრუნებულიყო უკან, მაგრამ იმათა სთხოვეს, არ მოეშვნენ და გაიყოლეს თან დონგუზ-ორუმის მწვერვალამდე. მოგზაურთ დაიწყეს ზემოთ და ზემოთ ასვლა, ჯანელიძე-კი დაბრუნდა უკან შესატყობად, თუ სად დარჩნენ ბარგის მზიდავი მუშებიო, როგორც იყო იპოვა თურმე ბარგის მზიდველები, მაგრამ ამ დროს ამოვარდა საშინელი ქარი და ჯანელიძე სვანებთან ერთად იძულებული იყო ღამე გაეთია ცის ქვეშ, რადგან შეუძლებელი იყო თურმე სოფ. ბეჩომდე ჩამოსვლა. მეორე დღეს საცოდავი ჯანელიძე სიცივისაგან გაფიჩხებული ჰნახეს. („ნოვ. ობოზ.").

⁂ 19 ოქტომბერს ლუკერია აფანასენკოსას და მისს ქმარს გრ. აფანასენკოს, მუხრანსკის ქუჩაზედ, საკუთარს ლუდხანაში, ლაპარაკი მოუვიდათ რაღაცაზედ. ამ დროს გრ. აფანასენკომ რამდენჯერმე ბოთლი დაჰკრა თავში თავისს ცოლს ლუკერიას და მძიმედ დასჭრა. გრ. აფანასენკო შეიპყრეს, მისი ცოლი-კი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

⁂ 10 ოქტომბერს, ღამე, ხანავის მცხოვრებელმა გლეხმა ზაქარია ბუზალაძემ მოიტაცა ახალგაზდა ქალი ოლგა გელაშვილისა. პოლიციამ უკვე შეიპყრო ბუზალაძე, ხოლო ქალი დედ-მამას დაუბრუნა.

### † გ. ქ. უთურგაული.

(წერილი სიღნაღიდგან)

16 ოქტომბერს სიღნაღში მიწას მიაბარეს გვამი გარდაცვალებულის ხონის სამასწავლებლო სემინარიის მასწავლებლის გიორგი კ-ძე უთურ-

---

აქეთ-იქით (მარჯვნივ და მარცხნივ) სდგას ორის შესანიშნავის ძველ ექიმის ქანდაკებანი: 1) ჰიპპოკრატისა, რომელიც სცხოვრობდა მეხუთე საუკუნის დამლევს და მეოთხეს დასაწყისში ქრისტეს დაბადებამდის, 2) ჰალენისა, ეს ექიმი სცოცხლობდა მეორე საუკუნეში ქრისტეს დაბადების შემდეგ. ორივე ქანდაკი მწვანითა და ყვავილებით არის მორთული. ზევით მოსჩანს შემდეგი ლათინური წარწერა: „Mens sana in corpore sano". შესანიშნავია კუნიცკის წარმოდგენილი კოკრები (лепешки), დამზადებული ამერიკულის სისტემით. ეს კოკრები რუსეთში ჯერ არ არის ხმარებაში. პირველი ხელი ეკუთვნის კუნიცკის; ჩრდილო ამერიკაში-კი დიდად გავრცელებულია ასეთი კოკრები. ამ კოკორს ის უპირატესობა აქვს, რომ სხვებთან შედარებით უფრო მალე იხსნება სტომაქში და მსწრაფლად ჰმოქმედებს. არც დანარჩენებსავით ხმება და ფუჭდება. ამავე პროვიზორს წარმოდგენილი აქვს ხორცის ფხვნილი (мясной порошокъ), რომელიც ძალიან დიდ ხანს ინახება დაუზიანებლად. ამ ფხვნილის საშუალებით კუნიცკის დაუმზადებია ხორცის „სუხრები" და ეხლა წინადადებას აძლევს სამხედრო სამინისტროს,—გამოსცადონ ეს „სუხრები" როგორც დიდად გამოსადეგი და მარგებელი საკვები ჯარისთვის, განსაკუთრებით მგზავრობის დროს. სუხრებში 25% ხორცი ურევია. საზოგადო დანიშნულება—ჩაისა და ბულიონთან ხმარება, გაჭირვების დროს-კი ცხელ წყალთანაც შეიძლება ადამიანმა სჭამოს.

სხვა პროვიზორებსაც აქვთ გამოფენილი ნიმუშები, მაგრამ იქ ყველაფერი დიდის ხნის ნაცნობია.

ბ-ნს სნაპირს გამოფენილი აქვს ნიმუშები სამკურნალო მცენარეებისა. სნაპირი წინად ხალხში აგროვებდა სოფელ-დაბებში სიარულის დროს, მაგრამ ასეთი შრომა საძნელო შეექნა და კრემენჩუგში დააარსა განსაკუთრებით სამკურნალო მცენარეების სავაჭრო საწყობი. სამკურნალო ბალახ-მცენარეების მოგროვება და გაყიდვა მცირე-რუსეთში დიდი ხანია რაც შეითვისეს ადგილობრივმა გლეხებმა, როცა პეტრე დიდმა დიდი ყურადღება მიაქცია მცირე რუსეთის სამკურნალო მცენარეების სიმდიდრეს; მეფემ პოლტავის ომის შემდეგ დააარსა სახელმწიფო აფთიაქი (მც. რუსეთში) და გაჰმართა საბოტანიკო ბაღი. ასეთმა ორმა ახლად შეძენილმა საქმემ მცირე რუსეთის ხალხში გააღვიძა სამკურნალო მცენარეების ძებნა-შეგროვების სურვილი. პეტრე დიდის შემდეგ ეს სურვილი თანდათან მიყუჩდა სხვა-და-სხვა მიზეზის გამო, მაგრამ ათის წლის წინად კვლავ იწყო განვითარება და დღეს დიდად განვითარებულია ეს საქმე. ამ დროს ეკუთვნის სნაპირის საწყობის დაარსება, რომელიც სამკურნალო მცენარეებს აწვდის არა თუ მარტო რუსეთის აფთიაქებს, — საზღვარ-გარეთაც-კი ათი ათასს ფუთამდის ჰგზავნის ყოველ წლობით. თითქმის ყველა ამ მცენარე-ბალახს (ღორის ხნდურა, ხაშხაშის გამოცალიერებულს თავებს, მელის კუდა, უსუფის ყვავილი ანუ კრაზანა და სხვ.) მარტო ხალხი აგროვებს და უზიდავს სნაპირს. ბ-ნს სნაპირს ოთხმოცნაირი სამკურნალო მცენარის ნიმუშები აქვს წარმოდგენილი. როგორ გააუმჯობესა სნაპირმა ასე მცენარეების ძებნა-შეგროვების საქმე? ადგილობრივ დაწესებულების დახმარებით (ერობა და სხვ.) ამ ბატონმა ჯერ გააცნო ხალხს სამკურნალო მცენარეები, შეასწავლა კარგად, აუხსნა მნიშვნელობა და სარგებლობა და მერე ურჩია მათი შეკრება და საწყობში მიტანა. გლეხებმა ძლიერ ბეჯითად მოჰკიდეს ხელი ამ უბრალო და მეტად სასარგებლო საქმეს. მხოლოდ მაგარი ის არის, რომ ზოგიერთი ახირებული მემამულე სამკურნალო მცენარეების შეკრების ნებას თავისს მამულში გლეხებს არ აძლევს; სავალალო ის არის, რომ არც თითონა ჰხმარობს. სწორედ ერთს ჩვენებურს ანდაზას მოგვაგონებენ ეს მემამულენი.

ისე წინსვლით, პროგრესიულად მიმდინარეობს სამკურნალო მცენარეების ვაჭრობის საქმე, რომ ამ ბოლოს ხანს ბევრმა ზოგიერთ თავისს მამულში პურის თესვას მიანებეს თავი, სთესავენ და ამრავლებენ სამკურნალო ბალახ-მცენარეებს. ამ გვარად შეჰქმნეს ახალი დარგი საზოგადო მეურნეობაში. საზღვარ-გარეთ ხომ მთელს ყანებს, მინდვრებს შეხვდებით ასეთის მცენარებით გადამწვანებულს. რუსეთში საზღვარ გარეთელ თესლებს სთესენ და ამ გვარად აბუნებოვანებენ უცხო თესლს. ეხლა რუსეთს აკლია შეკრებილ ბალახ-მცენარეებიდგან სხვა-და-სხვა ზეთისა და წამლებისთვის სახმარ ნივთების დასამზადებელ ქარხნების განვითარება,—აქვს ორიოდე პატარა ქარხანა მთელს სახელმწიფოში, მაგრამ ეს რა უნდა იყოს, როცა უცხოეთიდგან მილლიონ ნახევარ მანეთის აფთიაქებსა და სხვა ლაბარატორიებში სახმარებელი სითხე შემოაქვთ. წარსულთან შედარებით დღეს მაინც გაუმჯობესებულია საქმე, მომავალში, რასაკვირველია, უფრო კარგად მოაწყობენ.

კერძოდ ჩვენში რას აკეთებენ ამ მხრივ? თითქმის არაფერს. საკუთარს მიდამოზედ, სადაც ვინ იცის რამდენნაირი სასარგებლო მცენარეა, მცირე რუსეთში აღმოცენებულზედ უმჯობესი და უმრავლესი, რომელი მამულის პატრონი დაეძებს და ჰკრეფს სამკურნალო ბალახს? რომელი გლეხი აგროვებს გასასყიდად, ვინ აცნობს სამკურნალო მცენარეებს ხალხს, ვინ ურჩევს შეგროვებას? ეს არც აფთიაქის პატრონს, რომელთა რიცხვი (ჯერ მარტო ქართველებისა) არა მცირედია, ეპატივება და არც საზოგადოდ არავის. ქუთაისის გუბერნიაში და ტფილისისაში (რასაკვირველია, სხვაგანაც) ყოველს აფთიაქის საქმის მწარმოებელს შეუძლიან, როგორც საფთიაქო წამლების ამხანაგობას (ტფილისში) და კოკოჩევის ლაბორატორიას (ქუთაისში), შექმნას კოლლექცია სამკურნალო მცენარეებისა, დაარსოს პაწია კერძო მუზეუმი, გააცნოს ხალხს და შეაგნებინოს მისის ნაწარმოების სარგებლობა. ამით ხალხს სარგებლობას მოუტანენ და თითონაც არ დარჩებიან ხელ-ცალიერნი. შეიძლება თითონ არ დასჭირდეთ იმდენი სამკურნალო ბალახი, რამდენსაც ხალხი მიაწვდენს, მაგრამ ასეთს საქონელს ყველგან ვრცელი და სარგებლობის მომტანი ბაზარი აქვს გაშლილი. გუბერნიის საექიმო მმართველობასაც შეუძლიან თავისის მონაწილეობის მიღებით მხარი მისცეს ასეთ საქმის წარმატებას. სურვილთან გაცნობის საშვალებაც გამოიძებნება: ხალხს შეიძლება გააცნონ ეს დარგი მეურნეობისა როგორც თვით საგნის ნიმუშის ჩვენებით, აგრეთვე ცალკე წიგნაკებით და სხვა. სასურველია, რომ ეს რჩევა არ დარჩეს ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა.

მალაქია ბოლქვაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულისა. განსვენებულმა ამ ერთის თვის წინად, ავადმყოფობისა გამო, მასწავლებლობას თავი დაანება და მკურნალთა რჩევით, ჰაერის გამოსაცვლელად თელავში გადასახლდა, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა იქაც უდროვოდ (ორმოცდა-ათის წლისა) და მოულოდნელად გამოსალმა წუთი-სოფელს და ნათესავ მეგობართ.

განსვენებული გიორგი ტკბილი, დარბაისელი მოსაუბრე, მხნე-დაუღალავი მუშაკი და მოღვაწე იყო პედაგოგიურს სარბიელზედ. ლიტერატურაშიაც ცნობილი იყო იგი, ვითარცა ჰუმანურ აზრ-იდეათა მიმდევარი ადამიანი; მაგალითად, არა მცირედს მონაწილეობას იღებდა იგი ნ. ნიკოლაძეს მიერ დაარსებულს რუსულ გაზეთ „ობზორ“-ში; სხვა თანამედროვე ქართულ დროგამოშვებით გამოცემებშიაც იღებდა მონაწილეობას. ამ ბოლო ხანებში განსვენებული დიდად სწუხდა აწინდელის ჩვენის საზოგადოებრივ ცხოვრების უფერულობა-ულაჯობისა გამო, მაგრამ იმავ დროს გულის სიღრმეში შერჩენოდა ნაპერწკალი სასოება-უკეთესის მერმისისა, ჩვენის ერის კვალინდებურ დიდება წარმატებისა.

განსვენებულის გიორგის პატივის საცემლად სიღნაღის მთავარ-ანგელოზის ეკკლესიაში, სადაც მოესვენებინათ თელავიდგან მისი გვამი, მრავალი ქართველობა და ადგილობრივი სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებელ-მოსწავლენი შეკრებილიყვნენ. წირვა-ანდერძის აგების შემდეგ (მწირველი ბრძანდებოდა ხირსის მონასტრის არხიმანდრიტი მამა ევსევი და ჰგალობდა ქიზიყელთა მგალობელი გუნდი) ადგილობრივმა დეკანოზმა მამა სვიმეონ ბეგიევმა გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა განსვენებულის საზოგადოებრივ მოღვაწეობის შესახებ. სხვათა შორის, მამა დეკანოზმა სიტყვის ბოლოს ბრძანა, რომ თუმცა გიორგის დაკარგვა ბუნებრივად ჩვენში სიბრალულს იწვევს, როგორც დაკარგვა საყვარელისა და ძვირფასის არსებისა, მაგრამ ჩვენის გულის საოხ-სანუგეშებლად ისიც საკმარისია, რომ გიორგიმ ამ ქვეყნად თავისი წილი კეთილი მოიმოქმედა, თავისი დანიშნულება - ადამიანობა სინიდისიერად და პირ ნათლად აღასრულა. მან, როგორც სახიერმან მონამან, თავისი, უფლის მიერ უხვად მინიჭებული, ნიჭი, მიწაში კი არ დაფლა, არამედ ამუშავ-ამოქმედა მოძმეთა საკეთილდღეოდ. თვით სიმართლე-ჭეშმარიტების მიმდევარი, ყოველგან, სადაც კი გარემოებას მისთვის მუშაკობა ურგუნებია, ამ ღვთიურის მადლისა და კაცთ-მოყვარულის აზრების მთესველ-მქადაგებელი იყო. მაგრამ ნამეტანი ღვაწლი საპედაგოგიო ასპარეზზე მიუძღვის, სადაც იგი ახალ, მოზარდ თაობას უნერგავდა გულ გონებაში უმაღლესს აზრებს, სპეტაკ-ნათელ შეხედულებას ქვეყნიერობა-კაცობრიობაზე, სიყვარულს სამშობლო ენისა, სიტყვიერებისა და ხალხოსნობისა და მუდამ ჟამ იწვევდა ამ მოზარდ თაობას საყვარელ ერის დაბალ წოდების უმეცრება-წყვდიადის განსაფანტავ განსაქარწყლებლად, სადაც სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი-კი ყოვლად არა.

სიტყვის შემდეგ, სამღვდელოებისა და პატივის მცემელთა თანდასწრებით, განსვენებულის გვამი წაასვენეს სასაფლაოზედ, მიწის მისაბარებლად.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი პატიოსანო ქართველო და წყნარო მუშაკო!

ე. მ—შვილი

—

(წერილი თელავიდგან)

12 ოქტომბერს დილით გარდაიცვალა ხონის საოსტატო სემინარიის მასწავლებელი გიორგი უთურგაული. ბ-ნი უთურგაული რამდენიმე დღეა, რაც მოვიდა თელავს. ავადმყოფობის გამო სამსახურისათვის თავი დაენებებინა და გადაეწყვიტა დასახლებულიყო თელავს, რადგანაც მისი ავადმყოფობა სამშობლოში—სოფ. ერწოში (თიანეთის მაზრა)—დასახლებას ხელს უშლიდა. ბ-ნი უთურგაული გარდაიცვალა გულის ავადმყოფობით, რომელიც გასძლიერებოდა აგვისტოს დამლევს. სამსახურიდგან გამოსვლის თხოვნა შეეტანა ქუთაისის ექიმების რჩევით, სადაც ხონიდგან ავადმყოფი წასულიყო საექიმოდ, და რამდენისამე კვირის შემდეგ გამომგზავრებულიყო კახეთისაკენ, სრულიად დაიმედებული, რომ აქ, ავადმყოფობის შემსუბუქების შემდეგ, მიეცემოდი საზოგადო შრომას, მაგრამ სიკვდილმა არ დააცალა.

ყოველ დღე გარდაცვალებულის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი სრულდებოდა პატივის - მცემელთა თანადასწრებით. 14 ოქტომბერს უკანასკნელად გადუხადეს პანაშვიდი ნათესავებისა, ნაცნობებისა და პატივისმცემლების თანადასწრებით. პანაშვიდის დროს გალობდა სასულიერო სასწავლებლის მგალობელთა გუნდი ბ-ნ სულხანიშვილის ლოტბარობით, აქ განსვენებულის გვამს უკანასკნელად გამოეთხოვნენ მისნი ნათესავნი და წაასვენეს სიღნაღს.

ნადიკვრელი

—

(წერილი ხონიდგან).

13 ოქტომბერს ხონის საკრებულო ტაძარში გარდაიხადეს პანაშვიდი ხონის საოსტატო სემინარიის აწ გარდაცვალებულის მასწავლებლის გიორგი უთურგაულის სულის მოსახსენებლად, რომელიც ხსენებულს სემინარიაში 14 წელიწადი იღვწოდა დაუღალავად. პანაშვიდი გადახდილ იქმნა მღვდლის, ბლაღოჩინის ერ. მაჭარაძის მიერ. პანაშვიდს დაესწრნენ: ვაჟებისა და ქალების სასწავლებლების მასწავლებლები, ქალაქის მოვაჭრენი და სხვ. საზოგადოდ გიორგი უთურგაულის სიკვდილმა მთელი ხონის საზოგადოება დაალონა.

## წერილი ჭიათურიდგან

არა ერთხელ ყოფილა გაზეთებში აღნიშნული, რომ ჭიათურის ახლო-მახლო მდებარე სოფლებიდგან (შუქრუთი, რგანი, პერევისა) ურმობით ქვის ზესტაფონამდე გადატანა არ შეწყვეტილა და ისიც, თუ რა გვარ სასტიკად ეპყრობიან მეურმეებს საგანგებოდ ქვის გასაგზავნად დაქირავებული „რჩეული რაინდები“. ამ სოფლებში მუდამ დღე ჰნახავდით ჩხუბს, აყალ-მაყალს, მეურმეების ცემა-ტყეპას, სუსტისაგან მძლავრის დაჩაგვრასა და სხვ. სანამ ჭიათურის რკინის გზა გაკეთდებოდა, ურმობით დიდ-ძალი ქვა-გუნდა გადაჰქონდათ ეხლანდელზედ შედარებით, მაგრამ ამდენი უწესოება-კი არა ხდებოდა. ადგილობრივი ბოქაული წელს ბევრს ეცადა ამ ვაჟბატონების დამშვიდებას, ყოველ მეორე-მესამე დღეს რაინდებისაგან მომხდარ უწესოებისა გამო ცხვრებივით ჩამორეკავდა ჭიათურაში; ართმევდა იარაღს, ვისაცკი მოეძევოდა, წაუკითხავდა „შემოკლებულს სახარებას“ და ანთავისუფლებდა ამ რიგად „ვალ-მოხდილ“ თავ-ქეიფა რაინდებს, რის შემდეგაც ესენიც გაემგზავრებოდენ თავ-თავიანთ საბრძანებელში, რომ უფრო მეტი თავხედობა ჩაედინათ და კვლავ „ვალი“ მოეხადათ ბოქაულთან მისვლით. მოგეხსენებათ ძალ-მომრეობაზედ დამყარებული ვაჭრობა-აღებმიცემობა რა ხელ-საყრელიც იქნება, განსაკუთრებით იმათთვის, ვისაც „ძალი არ შესწევს ქადილსა“, ვისაც აყალმაყალის თავი არა აქვს და მხოლოდ მშვიდობიანობით, წესიერის გზით სურს ბურთი ლელოს გაიტანოს... ამ გარემოების მიმდევარი ვაჭარი, რა თქმა უნდა, დაზარალდება, თუ პირველთაგან დადგენილ ველურ ძალ-მომრეობას არ მიჰყო ხელი და ან თავის დასაცველად მთავრობა თუ არ მიიშველა.

კიდევ კარგი, თუ ადგილობრივ შეჩვეული ხართ, იცით ყოველივე აქაური „წეს წყობილება“ და არ ჩაებმებით სარაინდო ფერხულში, მაგრამ რა ჰქნას იმან, ვინც ადგილობრივ ვითარებას გაცნობილი არაა. მოაქვს ვაჭარს ფული (თავისია თუ ნასესხები), ჰყიდულობს აქა-იქ საეჭნობით ქვებს, დააბანდებს თავისს ორიოდე გროშს იმ იმედით, რომ გადავაბრუნებ და სარგებლით ამოვიგებო, მაგრამ ტყუვდება ანგარიშში. მისი დაქირავებული კაცი (და არა რჩეული რაინდი) მარტო ოდენ მოწმესავით არის გულს ხელ-დაკრებილი და ალა-ბატონის საქმეს ვერ არიგებს. მიზეზი ძალ-მომრეობა გახლავთ. თქვენს მეურმეს თქვენამდე დევ-გმირები არ უშვებენ და პირში ჩალა გამოვლებულს გტოვებენ. ვთქვათ, დაიჭირა მეურმემ, მე ივანე მშვიდობიძის ქვა უნდა წავიღოო. ერთ ორს შეუყვირებენ და გააჩერებენ. ვეუბნები, არ მინდა შენი ქვა წავიღო, ყმა ხომ არა ვარ შენი, ამას წინაზედაც რომ გავბრიყვდი და წავიღე, იმისი ფულიც არ ამიღია, დამანებე თავიო, მაინც არ მოგეშვებიან, ერთ ორ სიტყვას საალერსოს გეტყვიან და, თუ ამ ხერხმაც არ გასჭრა და მაინც სხვის ქვაზედ წასვლას დაადექი, ერთს კარგად გითაქებენ (კარგია, ამასაც თუ დაგაჯერეს) და წაგიყვანენ ძალით ნაბრძანების ასასრულებლად.

ამ გვარმა უწესო საქციელმა რაინდებისამ მიაღწია „მაღალი მოხელის“ ყურამდე ერთის შავის ქვის მწარმოებელის საჩივრისა გამო. ამისი შედეგი იყო შორაპნის მაზრის უფროსის ამ საქმის გამოსაძიებლად ჭიათურაში ჩამოსვლა და აღნიშნული ვაჟბატონების დაბარება. მაზრის უფროსმა რამდენსამე კაცს მთლად აღუკრძალა ქვის გზავნის მოხელეობა. რამდენსამეს ოქმი შეუდგინა და დანარჩენთ დარიგება წაუკითხა. ამ გარემოებამ დიდი გავლენა იქონია ყველაზედ. ძლივს თავისუფლად ამოისუნთქეს მეურმეებმა, მეტად დამშვიდნენ დაუდეგარი და გიჟ-მაჟი რაინდები. ახლა დადგენილია წეს-რიგი, შემოვა მეურმე თუ არა, ერთს-კი ჰკითხავენ და ვისის ქვის წაღების სურვილსაც განაცხადებს, მერე აღარ ეძალებიან, გინდა თუ არა, ჩემი ქვა წაიღეო. სამწუხაროა, რომ აქამდე არ მოხერხდა საქმის ამ რიგად განწეს-რიგება.

რადგან ოქტომბრის 11-დგან აქეთ მხარეს გაწვიმდა, საურმე გზები ტალახისა გამო წახდა და გაუვალი გახდა. ამ მიზეზით ქვის გადატანა ურმებით თავის-თავად შეჩერდება.

გერასიმე ბერიძე

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. ტობანიერი**, (ქუთაისის მაზრა.) ჩვენში ჭირნახულის შეკრება თითქმის თავდება; ათი დღეა, რაც მშვენიერი ამინდები დაუდგა მუშა ხალხს, დღე და ღამე ურმებს კრიჭინი გააქვს და გზიდებიან თავიანთ სახლებში სიმინდსა და ჩალას. პირველს ამ თვეს-კი საშინელი თავს ზარი დასცა საბრალო მუშა ხალხს ქარიშხალმა: იქნებოდა საღამოს შვიდი საათი, ცა უცებ მოიღრუბლა შავად, ამოვარდა მეტად ღონიერი დასავლეთის ქარი, ამას თან მოჰყვა წვიმა და სეტყვა, რომელიც მთიდგან წამოვიდა დიდის ხმაურობით; გზებზედ ურემი ურემზედ გაბმული იყო: ზოგს ჩალა მიჰქონდა, ზოგს სიმინდი და ზოგი-კი, გაეთავებინათ რა ჭალებში სიმინდის გარჩევა და შენახვა, მარებში ჩამჯდარნი, მხიარულის ღიღინით მიეჩქარებოდნენ სახლისაკენ; შეიქნა ერთი აღიაქოთი... ვინც იყო მიახლოვებული სახლს, მოურთეს ხარებს სახრე და მიასწრეს, დანარჩენებმა-კი გამოხსნეს ხარები აქეთ-იქით მიიმალნენ და უშველეს თავს. ყანებში ხეზედ აკიდებული ჩალა ბევრგან მირს ჩამოჭყარა და გაასხრა; სახლებში კედლებიდგან შესწვიმა და ყველგან დვარი ააყენა. ხალხი ძლიერ შეშინდა, მაგრამ მალე დაწყნარდა და მეორე დღეს ისევ მშვენიერი მზიანი ამინდი დადგა.

სიმინდს პირველად აქ კარგი პირი უჩანდა, მაგრამ ბოლოს ხშირის წვიმების გამო, უმეტეს ნაწილად ჩალად წავიდა და კიდეც დალპა; ღვინოც ნაკლებად მოდის წელს და წინანდელსავით მაგარი ღვინოები აღარა დგება.— დაიწყო სიმინდის შეკრება თუ არა, ტობანიერში და მის ახლო-მახლო სოფლებში გაჩნდნენ ჩარჩები; გზის პირას გაიკეთეს ჩალის ქოხები, დაჭყარეს შიგ ხუთის-ექვსის მანეთის საწვრილმანო საკაჭრონი და დაიწყეს სიმინდზედ გაყიდვა. თითო კაპიკიან ტარანა თევზში, ქინძისთავებსა და დუგმებში ოცს და ოცდა ათს ტარო სიმინდს ართმევდნენ პატარა გოგო-ბიჭებს; რასაც თავის ყანაში მოსტეხენ სიმინდს პატარა გოგოები და ბიჭები მას თავი დაკანებოთ, ამასთან რამდენს სხვის სიმინდში გაიპარიან, იმდენჯერ ხუთ, ათ თავს სიმინდს ჩამოამტვრევენ და მიაქვთ ჩარჩებთან; გლეხებიც არ იშურებენ ნახევარ ბათმან სიმინდს გირვანქა ნავთისა ან „მახორკა“ თუთუნისათვის. ასე სძარცვავენ საწყალ გლეხებს და თითო მათგანი ხუთის-ექვსის მანეთის საწვრილმანოთი მთელის წლის სარჩოს ჰშოულობს. კარგი იქნება, რომ ამ უწესოებას მიაქცევდეს ყურადღებას, ვისიც ჯერ არს.

აქეთ ციებ-ცხელება ნაკლებად არის, მუცლამ-კი იჩინა თავი და ესლაც რამოდენისამე ოჯახში არიან ავად მუცელათი. ამის წამლობა აქეთ არ იციან, დედაკაცები დაიჩოქებენ ხოლმე, უბოდიშებენ და თაყვანსა სცემენ, ეძახიან „მუცელ-ბატონებს“. ამას წინად აცნობეს მაზრის ექიმს, რომელმაც გამოჰგზავნა ფერშალი; იმან რამდენიმე ოჯახი დაათვალიერა და გაუდგა გზას. კარგი იქნება, რომ თითონ ექიმიც ჩამობრძანდებოდეს ხან და ხან და მიაქცევდეს ყურადღებას, მით უმეტეს, რომ ახლო-მახლო სხვა კერძო ექიმი არსად მოგვეპოვება, რომ მივმართოთ. ტობანიერიდგან 5 ვერსის მანძილზედ მდებარეობს ს. ვანი, სადაც ფერშალი იშოვება და აფთიაქიც არის, მაგრამ სოფლის დედაკაცები ასრულებენ აქ ექიმისა და ფერშლის მოვალეობას: ამას წინად ერთს მახლობელს სოფელში დედაკაცებმა ცხელებით ავადმყოფს კაცს თურმე ნესვის ძირის წვენი დაალევინეს და გამოასთხოვეს წუთი-სოფელს. ს. ტობანიერი შეადგენს დ. სამტრედიის საბოქაულოს და სასამართლოში უნდა დადიოდნენ აქაურები დაბა ხონში, რომელიც ამ სოფლიდგან 30 ვერსის მანძილზეა, მაგრამ, არ ვიცით რის გამო, იგი ეკუთვნის დ. ბაღდადის მომრიგებელ ნაწილს, რომელიც თითქმის 48 ვერსის სიშორეზეა და მგზავრობაც ძნელია; ამის გამო აქაური მცხოვრებლები მეტად გაჭირვებულნი არიან დ. ბაღდადში სიარულით საქმის გარჩევის დროს. ადვილად შეუძლიანთ, რომ ეს სოფელი ხონის მომრიგებელ სასამართლოს მიაწერონ, მაგრამ მოთავე კაცი უნდა და ამას ს. ტობანიერი მოკლებულია.— აქაურ სოფლის სამმართველოს გვერდით ჩამოდის მდ. „უუმური,“ ამ მდინარეში გასვლა უმეტეს ნაწილად მეტად გასაჭირია, რადგან ხიდი არ არის ხეირიანი; ძლიერ შევიწროებულნი არიან ამის გამო მცხოვრებლები: როგორც მოადგებიან მდინარეს, უნდა გაიძრონ ფეხსაცმელი და ჩაუდგნენ წყალს. თვითონ ვერ ითავეს ხიდის გადება და დამაგრება, სოფლის ადმინისტრაცია კი არას ღაქმებს. კარგი იქნება, რომ ჩვენი ბოქაული ერთხელ მობრძანდებოდეს, საზოგადოებასაც დაათვალიერებდეს და ამას მიაქცევდეს ყურადღებას.

ვლადო ბზვანელი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზეთ „Нов. Обоз.“-ში დაბეჭდილია წერილი აგრონომის ვ. სტაროსელსკისა იმის შესახებ, არის თუ არა კავკასიაში ვაზის ავადმყოფობა, რომელსაც ბლეკროტს უწოდებენ. ბ-ნი სტაროსელსკი სწერს:

წარსულ წლის სექტემბერსა და ოქტომბერში გავსინჯე ბ-ნ ნ. სპეშნევთან ერთად კახეთში შეკრებილი საეჭვო ყურძნის მარცვლები, მაგრამ ამ მარცვლებს აღმოაჩნდა მხოლოდ Conio thyrium Diplodiella Sace და Phoma Flaccida Vial. et Ray. ამავე დროს კახეთიდგან გაუგზავნეს გასასინჯად ყურძნის მარცვლები პროფესორს ვილიას, ვორონინს, ფრონკსა და საკარდოს. ვორონინმა გადაჭრილი არაფერი სთქვა, ფრანკმა სთქვა, ბლეკ-როტი არ არისო, ასეთივე აზრი წარმოსთქვა საკარდომ, მხოლოდ პროფესორის ვიალას აზრით, ეს მარცვლები დაავადებული იყო ბლეკ-როტით.

ამ წლის ივლისში ხელ-მეორედ წავედით კახეთში მე და სპეშნევი და კიდევ გავსინჯე ყურძნის მარცვლები და ჩემის აზრით, ბლეკროტი არა ყოფილა.

მიწად-მოქმედების სამინისტრომ გამოჰგზავნა კახეთში აგრონომი ა. იაჩევსკი, რომელმაც ყველგან ბლეკროტი აღმოა-

ჩინა და სთქვა, ეს ავადმყოფობა კავკასიაში აგერ 6—7 წელიწადია, რაც გაჩენილი უნდა იყოსო.

მე კვლავ გავსინჯე ის ადგილები, სადაც ბ-ნ იაჩევსკის აზრით ბლეკროტი უნდა ყოფილიყო და ეს ავადმყოფობა ვერსად ვერ ვიპოვე. ამიტომ კვლავ ვამტკიცებ, რომ ის ავადმყოფობა, რომელსაც ბლეკ-როტი ეწოდება, კავკასიაში არსად არის.

## რუსეთი

—

ზოგიერთ რუსულ გაზეთებში ეწერა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს განზრახვა აქვს დააარსოს თავად-აზნაურთა საურთიერთო დამხმარებელი კასსები. ეს ამბავი, რომელიც მეტად საყურადღებო უნდა ყოფილიყო თავად აზნაურობისათვის ტყუილი გამოდგა. ამ საქმეზედ არავითარი ლაპარაკი არა ყოფილა სამინისტროში, იმიტომ-კი არა, რომ სამინისტრო ამ საქმეს არ თანაუგრძნობდეს, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ეს საქმე კერძო საქმეა თავად-აზნაურებისა. მთავრობას შეუძლიან მხოლოდ დაამტკიცოს ამგვარ კასსების წესდება. ვიდრე თვით თავად-აზნაურობა არ მოიწადინებს ამ საქმის ასრულებას, სხვა ვერავინ გაერევა. რუსეთის ერთის გუბერნიის თავად-აზნაურობამ უკვე შეადგინა წესდება ასეთის კასსისა და წარუდგინა საგანგებოდ ამისათვის დაარსებულს კომისიას. თუ კომისიამ წესდება მოიწონა, მაშინ იგი სამინისტროსაც წარედგინება დასამტკიცებლად.

— შინაგან საქმეთა სამინისტრო უკვე შეუდგა ზოგიერთ ღონისძიებათა მიღებას იმ გუბერნიებში, სადაც წელს ცუდი მოსავალი მოვიდა.

— ფინანსთა სამინისტრომ უბრძანა ქარხნების პატრონებს, ყოველ კვირა გამოჰკიდონ ხოლმე ქარხნებში ანგარიში იმ ფულისა, რომელსაც ჯარიმად ახდევინებენ მუშებს.

## უცხოეთი

—

**კრიტი.** ისე დღე არ გავა, რომ ევროპის რომელიმე სახელმწიფომ ახალი კანდიდატი არ წამოაყენოს კრიტის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობაზედ, მაგრამ დღეები და თვეები მიდის და აქნამდე არც ერთი მათგანი არაფერს არ ეღირსა. უკვე ხუთი თუ ექვსი კაცია დღემდე ამ თანამდებობაზედ დასახელებული. ჯერ ლაპარაკი შვეიცარიელ დროზსა და ბატენბერგის პრინცზედ იყო, შემდეგ გრუმკოვ ფაშა და მაიორი ვიტტე წამოაყენეს, ხოლო ამ უკანასკნელ დროს პოლკოვნიკი შეფფერი დაასახელეს. ეს უკანასკნელი შთამომავლობით ლიუქსენბურგელია, ხოლო მსახურობდა ინგლისის ჯარსა და ადმინისტრაციაში. შეფფერი ამ ჟამად ორმოცის წლის კაცია. სწავლის გათავების შემდეგ ის ჯერ ინგლისში მსახურებდა, შემდეგ ეგვიპტეში, სადაც ადმინისტრაციაში სხვა-და-სხვა თანამდებობა ეკავა და ერთხანად ადგილობრივ ჟანდარმების უფროსადაც იყო. აი სწორედ ამ შეფფერის შესახებ გაზ. „Lndep. Belge“-ს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდგან: „როგორც უკანასკნელად მოსულის ამბებიდგანა სჩანს, მოლაპარაკება კრიტის საქმეების შესახებ კარგად მიდის და ყველა კაბინეტები სიხარულით მიეგებნენ პოლკოვნიკის შეფფერის კანდიდატურას კრიტის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობაზედ. ინგლისმა უკვე თანხმობა განაცხადაო“. ხოლო ვენელი კორესპონდენტი გაზ. „Koeln Zeit.“-სა სწერს იმავე შეფფერის შესახებ: „საფრანგეთის მიერ წამოყენებული კანდიდატურა პოლკოვნიკის კარლ შეფფერისა კრიტის დროებით გენერალ-გუბერნატორის თანამდებობაზედ, ყველა სახელმწიფოებისაგან იქმნა მიღებული. სახელმწიფოები ეხლა შეფფერს პორტას წარუდგენენ, რომელმაც უნდა დაამტკიცოს იგი. პირველი საქმეები ახალის გუბერნატორის იქმნებიან: ჯარის შედგენა, სესხის აღება და საეროვნო კრების მოწვევაო“.

—

**სერბია.** ჩვენ უკვე გვქონდა მოხსენებული, რომ სერბიის მინისტრ-პრეზიდენტმა სიმიჩმა თავი გაანება თანამდებობას მთლად თავის მინისტრებითურთო. ეხლა გაზეთები იუწყებიან, რომ მეფე ალექსანდრემ ახალი სამინისტროს შედგენა ვლადან გიორგიევიჩს ჩააბარა, რომელიც უკვე შეუდგა საქმესაო. გაზ. „Temps“-ის სიტყვით, ვლადან გიორგიევიჩს აზრადა აქვს მინისტრებად ლიბერალთა და ესრედ წოდებულ „ნაპრედნიაკთა“ დასების მომხრეები მიიწვიოს. „საყურადღებოა, ამბობს იგივე გაზეთი, რომ მიწვეულნი იქმნებიან არა პირველ ხარისხოვანი და საპოლიტიკო ასპარეზზედ გამოჩენილი მოღვაწენი, არამედ უმნიშვნელო კაცები, რომელთაც თავი არაფრით უსახელნიათ. ეს სულ ექს-მეფის მილანის პოლიტიკაა, რომელსაც უნდა, რომ სახელმწიფოს საქმეების მმართვა-გამგეობის სათავეში ისეთი კაცები ჩააყენოს, რომელნიც ადვილად შეასრულებენ იმისა და ავსტრი-უნგრეთის სურვილსაო“.

**ინდოეთი.** ამ რამდენიმე თვის წინად ატეხილი ომი ინდოეთის საზღვარზედ არამც თუ არ სცხრება, არამედ უფრო მატულობს და დღითიდღე უფრო ძლიერდება. აფრიდიები, ორაქსეები და სხვა იქ მოსახლე ტომნი ჯერ იარაღს არა ჰყრიან და უწინდელებრ მედგრად ებრძვიან ინგლისის დარაზმულ ჯარს. ხოლო ინგლისელები თავისის მხრით ახალ ციხე სიმაგრეებს აშენებენ, ძველებს ამაგრებენ და ჯარს ერთიორად ამრავლებენ. გაზეთების სიტყვით ინგლისელებს იმდენად ამ მოსაზღვრე ხალხისა არ ეშინიანთ, რამდენად ინდოეთის მკვიდრთა ამბოხებისა. შესაძლებელია, რომ ამ ომმა, სადაც ინგლისის ჯარი ძალიან ხშირად მარცხდება, ინდოეთის მკვიდრთაც აუტოკოს გული და იარაღი აალებინოს ინგლისის წინააღმდეგაო.

## დამაკვირდი

გველისაგან ნაკბენს არშიისაც ეშინიან.

მიდაში

***

გაჭირვება ლოცვას გვასწავლის; შრომა-კი გვასწავლის იმას, რაც გაჭირვებისაგან დაგვიფარავს.

გლეიმი

***

ბედნიერი ის არის, ვინც შრომის დასასრულს მხიარულებით იმკის მკას; ხოლო ვინც დასაწყისშივე მეტად გახარებულია, ის შორს მანძილს ვერ გაივლის.

რუკკერტი

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

18 ოქტომბერი.

**დარმშტადტი.** დღეს, დილის 10 საათზედ, იმპერატორი და იმპერატრიცა წაბრძანდნენ. მათი უდიდებულესობანი სადგურამდის გააცილეს დიდმა ჰერცოგმა და მისმა მეუღლემ.

**ეიზენახი.** მატარებელი, რომელშიაც იმპერატორი და იმპერატრიცა ბრძანდებოდნენ, აქ 4 საათს შემდეგ მოვიდა. დიდი ჰერცოგი და მემკვიდრე ჰერცოგი მიეგებნენ მათ უდიდებულესობას; პირველი რამდენჯერმე მოეხვია და ეამბორა ხელმწიფეს. $4^1/_2$ საათზედ მატარებელი წავიდა. მატარებელში გრაფი მურავიოვიც იყო.

**ბელგრადი.** ის ხმები, ვითომც მეფე ალექსანდრე დიდის ხნით საზღვარ გარეთ მიდის, მილანი იმის თანამმართველად იქმნება აღიარებული, მილანი დედოფალს ნატალიას ეყრებაო და სხვა უნდა შეირთოს, ნამდვილის წყაროებიდგან იუწყებიან, რომ სიმართლეს მოკლებულია.

**ლონდონი.** „Stand.“ დეპეშით ატყობინებენ კონსტანტინეპოლიდგან: „სულთანმა მისწერა რწმუნებულთ, რომ ზავი ოთხშაბათამდე შეჰკრანო“.

**კონსტანტინეპოლი.** კრება ზავის პირობათა შესახებ დიდ ხანს გაგრძელდა. შემდეგი კრება ხვალ მოხდება.

19 ოქტომბერი

**პოზნანი.** რუსეთის საიმპერატორო მატარებელი 6 საათსა და 40 წუთზედ მოვიდა და ექვსის წუთის გაჩერების შემდეგ ტორნისაკენ წავიდა.

**პარიჟი.** „Temps“-ი ამბობს, რომ კრიტში გაგზავნილ იქმნებიან ფარდულები და მხედართა სადგომისათვის საჭირო მასალა საფრანგეთის ჯარის ზამთრის გასათევად. ჯარი, როგორცა სჩანს, ჯერ კიდევ კარგა ხანს დაჰყოფს კუნძულზეო.

**კონსტანტინეპოლი.** გამოიცა ირადე, რომლითაც საბერძნეთის ქალაქების ოსმალეთის ელჩებს ნება ეძლევათ თავიანთ ადგილებს დაუბრუნდნენ. ათინაში ელჩი ზავის ხელშეკრულობის ხელ-მოწერის შემდეგ დაბრუნდება.

გუშინდელმა კრებამ დელეგატების ამ ზავის ხელშეკრულების შესახებ საათ ნახევარი გასტანა. უთანხმოება მე—3 მუხლის შესახებ ჯერ არ იქმნა აცილებული. იმ საგნის შესახებ, თუ რა ჯილდო უნდა მიეცეთ დაზარალებულ კერძო პირთ, საბერძნეთის დელეგატები ათინიდგან ელიან რჩევას. შემდეგი კრება — ორშაბათს მოხდება.

**პეტერბურგი.** 19 ოქტომბერს, საღამოს 7 საათსა და 33 წუთსა, დაბრუნდნენ საზღვარ გარეთიდგან კრასნოე სელოში ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული უავგუსტოეს შვილებითურთ. სადგურიდგან მათი უდიდებულესობანი ალექსანდრეს სასახლეში წაბრძანდნენ.

20 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** 20 ოქტომბერს მათ უდიდებულესობათა თანადასწრებით პეტრე-პავლეს ტაძარში იმპერატორის ალექსანდრე მე III ტაგრუცთან გარდახდილ იქმნა წირვა მისის სულის მოსახსენებლად.

**ოდესსა.** აბაშეთში დანიშნული ელჩები, ვლასოვის მეთაურობით, ალექსანდრიას გაემგზავრნენ.

**კონსტანტინეპოლი.** რადგან საშვიდობო მოლაპარაკება შეჩერებულ იქმნა მესამე მუხლის გამო ატეხილ მოურიგებლობის მიზეზით, აქ თითქმის აუცილებლად მიაჩნიათ, რომ ეს სადავო საგანი ელჩთა სამედიატორო სამართალს მიენდობა გარდასაწყვეტადაო; ელჩები საბერძნეთს მიემხრობიან, რადგან კაპიტულიაციის საქმე სხვა სახელმწიფოთა ქვეშევრდომების ინტერესსაც შეეხება. რაც შეეხება სადავო საგანს დაზარალებულ კერძო კაცთა დაჯილდოვებისას და იმ ვალდებულებათას, რომელიც ოკისრია საბერძნეთს 1881 წლის ხელი შეკრულების ძალით, ეს საგნები არც ისეთია, რომ მორიგება მოსალოდნელი არ იყოს.

**სიმლა.** ლოკკარტმა დაპყო არხანგადის შესავალი და მაგდენი ვნება და ზარალი არა მოსვლია-რა. ამ ჟამად ლოკკარტი ტარახის მხრისაკენ მიდის.

### წერილი რედაქციის მიმართ

ამ წლის გაზ. „ივერიის“ მე-196 №-ში დასტამბულია წერილი ქიათურიდგან, რომლის ავტორი, ბ. ბერიძე, სწერს: „მღვიმის დედათა მონასტრის გულ-შემატკივარმა მართველობამ ამ წლის პირველ სექტემბრიდგან გააუქმა ამ მონასტრის სამრევლო სკოლაო“. ვერ წარმოგვიდგენია, საიდგან მოიგონა ბ. ბერიძემ ამისთანა ტყუილი! აგერ მეოთხე წელიწადია, რაც ჩვენს მონასტერში არსებობს სამრევლო სკოლა, რომლის მასწავლებლად იყო ამ წლის პირველ სექტემბრამდე ბ. ბესარიონ ვაშაძე; მონასტრის მართველობა ყოველთვის ხელს უწყობდა და უწყობს ამ სკოლას და მასწავლებელს, რის გამო ეს სკოლა ბევრად უკეთესს მდგომარეობაში იმყოფება, ვიდრე სხვა ამისთანა სკოლები.

ამ წლის პირველ სექტემბრამდის ჩვენ დარწმუნებულნი ვიყავით, რომ მასწავლებელი ვაშაძე კიდევ დარჩებოდა, მაგრამ პირველ სექტემბერს მასწავლებელმა ვაშაძემ გამოგვიცხადა, რომ იგი აქ მასწავლებლად აღარა დგება. ამ ამბავმა დიდად შეაწუხა მონასტრის მართველობა და მან დაუყოვნებლივ აცნობა შორაპნის მაზრის სამოსწავლო საბჭოს განყოფილებას, რომ მღვიმის სკოლისათვის ვაშაძის მაგიერ მასწავლებელი დაენიშნა. საბჭომ, რომელსაც ამ საგნის შესახებ სხდომა ჰქონდა 29 სექტემბერს, გამოამწესა მასწავლებლად სემინარიელი ბ-ნი იოკიმე მოდებაძე. მოდებაძემ დაუყოვნებლივ მოჰკიდა საქმეს ხელი და დაუწყო სწავლება. მგონია, აქედგანაც ყველა ცხადად დაინახავს, რომ სკოლა არავის გაუუქმებია, მხოლოდ სწავლა შეჩერდა რამდენისამე დღით, რომლის მიზეზი ბ-ნი ვაშაძე იყო, რომელმაც სკოლა უდროვო დროს მიატოვა.

მღვიმის სკოლის მმართველი, მღვდელი ლავრენტი დევიძე


## განცხადებანი

დაიბეჭდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში

**ამბავი ცხოველთა სამეფოსი**

შედგენილი ნ. რუბაკინის მიერ სურათებით

თარგმანი გრ. ყიფშიძისა

ფასი 50 კაპ.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

იყიდება შემდეგი წიგნები: საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართლის ცხოვრება | 8 | „ |
| იგივე ფრანგულად ნათარგმნი ბროსეს მიერ | 8 | 20 |
| ქართლის ცხოვრება I წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა | „ | 40 |
| ვეფხვის ტყაოსანი სურათებიანი მშვენიერის ყდით | 10 | „ |
| ნ. ნიკოლაძის ნაწერები | „ | 30 |
| კეთილი ძაღლი | „ | 30 |
| თხზულ. მამია გურიელისა | 1 | „ |
| ქრონიკები თ. ჟორდანიასი | 3 | „ |
| ისტორიული ნარკვევი, ალ. ჰყონიასი | 1 | 50 |
| ნ. ნიკოლაძე. ბიოგრაფია | „ | 20 |
| აკაკი წერეთელი. ბიოგრაფია | „ | 15 |
| ამირან-დარეჯანიანი | 1 | „ |
| ჩვენი ახალი მწერლობა საღარაძისა | „ | 40 |
| ბუნება და ცხოვრება ი. ალხაზიშვილისა | „ | 60 |
| გედები საყმაწვილო წიგნი | „ | 20 |
| პარტახი მოთ. ნინოშვილისა | „ | 20 |
| ორი ეტიუდი | „ | 20 |
| როგორა ცხოვრობდენ ადამიანები ძველად | „ | 25 |
| სახალხო ლექსები და ლეგენდები | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა | 1 | „ |
| საქართველოს ისტორია მ. ბროსესი | „ | 70 |
| მეფე გიორგი ბრწყინვალე, ურბნელისა | „ | 20 |
| ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე | „ | 25 |
| ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე | „ | 50 |
| თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა | „ | 15 |
| სვიმონ მეფე, მისივე | „ | 10 |
| როსტომ მეფე, მისივე | „ | 10 |
| Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности проф. А. Цагарели I выпускъ | 1 | 25 |
| II вып. | 1 | 50 |
| О грамматической литературѣ грузинскаго языка, его же | „ | 50 |
| Грамоты и другіе документы XVIII ст., его-же | 3 | „ |
| Очерки по исторіи грузинской словесности А. Хаханова | 2 | „ |
| Грузинскіе дворянскіе акты, его-же | „ | 60 |


Дозволено цензурою, Тифлисъ 20-го Октября 1897 г. სტამბა ძ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.